ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №13/01-01, 05.02. 2016 წ.
დანართი №1

2016 წლის 22 თებერვლიდან 11 მარტის ჩათვლით ათათურქის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ პრაქტიკული თურქული ენის მეშვიდე ზამთრის სკოლისთვის მონაწილეების შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ათათურქის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საზაფხულო სკოლაში მონაწილეების შერჩევა.

2. მონაწილეების შერჩევა

მონაწილეების შერჩევა მოხდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

1. ზეპირი პრეზენტაცია (თურქულ ენაზე)
2. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA)

1. კომისიის შეფასება

ა) კომისია ახორციელებს ზეპირი პრეზენტაციისა და მოტივაციის წერილის შეფასებას.

ბ) კანდიდატის ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე	10 ქულა
ძალიან კარგი	9 ქულა
კარგი	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი	7 ქულა
საკმარისი	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის ზეპირი პრეზენტაცია შეფასებული იქნება არადა-მაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

2. გამარჯვებულის გამოვლენა

გამარჯვებულის გამოვლენა ხდება კომისიის მიერ მონაწილეების შერჩევის გზით.